საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☑ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 16 | 20 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 16 | 20 |
| წერის უნარი | 18 | 20 |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 15 | 15 |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 13 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 5 | 5 |
| პროფესიული აქტივობები | 5 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 88 | 100 |

**სახელი, გვარი:** თამარ ღვამიჩავა

**თარიღი:** 28.05.2021

**თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ირაკლი ადეიშვილის შეფასება.**

2020 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირდა 50 კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების საფუძველზე.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^2$ მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. ასევე მონაწილეობა მივიღე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ირაკლი ადეიშვილის** საჯარო მოსმენაში, რომელიც გაიმართა **2020 წლის 11 დეკემბერს.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია მითითებულ ლინკზე -https://www.youtube.com/watch?v=2CIR4N5CWmw

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი **ირაკლი ადეიშვილის** გახლავთ ყოფილი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის **ირაკლი ადეიშვილის** კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლები. შესაბამისად კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის $36^3$ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე.

ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის $36^3$ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.**

კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი გახლავთ 39 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ; 2016 წლიდან არის დოქტორანტი იმავე უნივერსიტეტში, სადისერტაციო თემა - კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით). 1997 – 1998 წლებში სწავლობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ქ. ბუდაპეშტი), არის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი.
კანდიდატი სპეციალობით მუშაობს 21 წელია, აქედან - 10 წელი და 4 თვის განმავლობაში ასრულებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას: 2005-2009 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და იმავე კოლეგიის თავმჯდომარე; 2009-2015 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. 2006-2007 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.
2005 წლიდან არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი; 2019 წლიდან არის სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" წევრი.
ამჟამად არის სს სილქნეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი, ასევე - მედიატორი.
რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენციას, კეთილსინდისიერებასა და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის ნაკლოვანებად უთითებს, რომ „საქმიან ურთიერთობებში იგი ზედმეტად ენდობა ადამიანებს".

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად, ხოლო ერთ-ერთი რესპოდენტი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

მოპოვებული ინფორმაციით კანდიდატმა ირაკლი ადეიშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ პროფესიულ-სასწავლო ღონისძიებაში, კერძოდ:
- მედიაცია - დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო - სემინარი;
- 2018 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით იყო ინგლისისა და უელსის კომერციული სასამართლოს ბიზნესისა და ქონებრივი დავების სასამართლო პალატის სამართლის ექსპერტი (დანიშნული ამავე სასამართლოს მიერ).
კანდიდატს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს 2003 წლის 27 ივლისს.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:
უძღვება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კურსს „სამეწარმეო სამართლის აქტუალურ საკითხებში", რომელიც შემუშავებულ იქნა მის მიერ, UNDP-ის დაფინანსებით, ტრენერთა ტრეინინგისათვის. ეს კურსი განკუთვნილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

წევრებისთვის განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში. აგრეთვე ასწავლის სამეწარმეო სამართალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოსამზადებელ ჯგუფებს.
2015-2016 წლებში ატარებდა ტრეინინგებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოსამართლო ეთიკასა და დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში.
კანდიდატი არის შემდეგი სტატიების/წიგნების ავტორი/თანაავტორი:
„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში", საერთაშორისო სამართლის ჟურნალი №2, 2016 - №1, 2017, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
„ქალთა უფლებების დაცვის ტენდენციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში", სამართლის ჟურნალი, №1, 2018, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
„აქვთ თუ არა კომერციულ იურიდიულ პირებს ადამიანის უფლებები", სამართლის ჟურნალი, №1, 2019, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
„კომერციული იურიდიული პირების დირექტორების პასუხისმგებლობა", ჟურნალი „ჩემი ადვოკატი", №4, ოქტომბერი 2020. - „პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის" - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამომცემლობა 2008 წ.
საპროცესო დოკუმენტების ნიმუშები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამომცემლობა, 2006 წ.
2014 წელს USAID-ის დაფინანსებით გამოიცა სახელმძღვანელო „სახელშეკრულებო სამართალი" (რედ. გ. ჯუღელი), რომელშიც შეტანილია მისი კოლეგიის სამი გადაწყვეტილება, საიდანაც ერთი, უშუალოდ მისი თავმჯდომარეობით მიღებული გადაწყვეტილება სრული პროცესუალური ისტორიით სახელმძღვანელოში მოყვანილია ორჯერ, ორი სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის - პირგასამტეხლოსა და ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის სწავლებისათვის.
კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს; არ აქვს მიმდინარე საბანკო სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია; ეკუთვნის უძრავი ქონება (98 კვ.მ. ბინის 50% ქ.თბილისში) და მსუბუქი ავტომანქანა; არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.
ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი, ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, ორჯერ იქნა დაჯარიმებული (ჯარიმები გადახდილია დროულად) და მის მიმართ ერთხელ იქნა გამოყენებული სიტყვიერი შენიშვნა.
მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.
კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი იყო მოსარჩელე ერთ სამოქალაქო საქმეში (№27921-15, დავის საგანი - ცილისწამებისაგან დაცვა). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელი დატოვეს ზემდგომმა ინსტანციებმაც.
კანდიდატი დაზარალებულად სისხლის სამართლის რაიმე საქმეზე ცნობილი არ ყოფილა.
კანდიდატი ასევე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი 2 სასამართლო გადაწყვეტილება და პუბლიკაციები: „ქალთა უფლებების დაცვის ტენდენციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში"; „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედეტნული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში".
ირაკლი ადეიშვილი იყო Ad hoc მოსამართლე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, არსებითად განხილული საქმეებში:№30097/03,,,მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ"; №25091/07,,,ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ".

- **კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, კორექტული და თავდაჭერილია. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ძირითადად, იცნობს კანონმდებლობას, მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ასევე, უსენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას.
შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **16 ქულით.**

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **16 ქულით.**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების და პუბლიკაციების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ ის აზრს ძირითადად გასაგებად გადმოსცემს, გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული **წერის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **18 ქულით.**

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად მეტყველებს, საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული **ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **15 ქულით.**

კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული და თავდაჭერილი.

შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის **-პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში** შეფასდა **13 ქულით.**

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს სამართლებრივ სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, აქედან გამომდინარე იგი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ირაკლი ადეიშვილი** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **88 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **16 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -**16 ქულა**
3. წერის უნარი -**18 ქულა**
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - **15 ქულა**
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - **13 ქულა**
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - **5 ქულა**
7. პროფესიული აქტივობა - **5 ქულა**

**ქულათა ჯამი 88 ქულა**

თარიღი: **28.05.2021 წ.**

ხელმოწერა: